



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის ბრძანება

N 3227
07/09/2017

3227-02-4-201709071042



**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სალიკვიდაციო
ღონისძიებების გატარების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 114-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის N417 დადგენილების „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 აგვისტოს N416 დადგენილების „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციისა და 2017 წელს შექმნილი შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) შეფასდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 სექტემბრის N417 დადგენილების „ 2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

ბ) გაფრთხილდეს გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელე ლიკვიდაციისას შესაძლო გათავისუფლების შესახებ;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 აგვისტოს N416 დადგენილების „2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონებისა და

ვალდებულებების ინვენტარიზაციისა და 2017 წელს შექმნილი შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

დ) ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები განახორციელოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილმა შესაბამისმა კომისიებმა. (შეფასების და საინვენტარიზაციო);

ე) წინამდებარე ბრძანება გადაეცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეებს, გამოიკრას გამგეობის ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ოფიციალურ ვებგვერდზე;

2. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის I ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. N12).

ლაშა გოგია

გამგებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

